

სს „კავკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	18
5. ძირითადი საშუალებები	20
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	21
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და წინასწარ გადახდილი თანხები	21
8. გაცემული სესხები	21
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
10. ნასესხები სახსრები	22
12. საიჯარო ვალდებულებები	22
13. გადასახდელი დივიდენდები	23
14. საგადასახადო ვალდებულებები	23
15. სააქციო კაპიტალი	24
16. შემოსავალი რეალიზაციიდან	24
17. რეალიზაციის თვითღირებულება	24
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24
19. სადისტრიბუციო ხარჯები	25
20. სხვა საოპერაციო ხარჯი	25
21. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	25
22. მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	25
23. სხვა საოპერაციო შემოსავალი	25
24. ფინანსური რისკის მართვა	25
25. დაკავშირებული მხარეები	27
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „კავკაზ ცემენტის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „კავკაზ ცემენტ“-ისა და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,129 ათასი ლარის ოდენობით. ჩვენ არ მოგვეცა შესაძლებლობა, დავსწრებოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჩვენ ვერც ალტერნატიული მეთოდებით შევძელით მიგვეღო რწმუნება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების არსებობასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობასთან დაკავშირებით და აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 1,555 ათასი ლარი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ამავე თარიღისათვის ჯგუფის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 35,263 ათასი ლარით, ხოლო ჯგუფის დაგროვილი ზარალი შეადგენს 68,391 ათას ლარს. ეს მოვლენები და მდგომარეობა მიგვითითებს რომ არსებობს მნიშვნელოვანი გარემოებები

რომლებიც ექვექვემ აყენებს ჯგუფის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს არსებობას. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად თანხვედრილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან შეუსაბალო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის განცხადება. ამ კუთხით, ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2020

ასს-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის განმავლობაში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოვავქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ის სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2020



სს „კავკაზ ცემენტი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	30,892	29,293
არამატერიალური აქტივები		505	600
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	2,129	2,951
სავაჭრო მოთხოვნები	7	720	127
გაცემული სესხები	8	325	413
წინასწარ გადახდილი თანხები	7	601	891
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,264	1,199
სულ აქტივები		36,436	35,474
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	12	209	-
ნასესხები თანხები	10	27,760	25,973
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	10	32,489	30,557
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	5,722	5,470
საიჯარო ვალდებულებები	12	80	618
მიღებული ავანსები		280	132
გადასახდელი დივიდენდი	13	161	649
საგადასახადო ვალდებულებები	14	1,570	1,194
სულ ვალდებულებები		68,271	64,593
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	28,601	28,685
დაგროვილი ზარალი		(68,391)	(64,255)
ჯგუფის მფლობელობისთვის მიკუთვნებული კაპიტალი		(39,790)	(35,570)
არამაკონტროლებელი წილი		7,955	6,451
სულ კაპიტალი		(31,835)	(29,119)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		36,436	35,474

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

27 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

9-28 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკაზ ცემენტი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	16	47,566	29,279
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(36,996)	(23,046)
საერთო მოგება		10,570	6,233
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(5,783)	(5,312)
დისტრიბუციის ხარჯები	19	(3,265)	(1,404)
სხვა საოპერაციო ხარჯი	20	(1,620)	(125)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	21	1,686	-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		1,588	(608)
საპროცენტო შემოსავალი	8	23	34
საპროცენტო ხარჯი	10	(3,847)	(3,410)
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	22	703	(764)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	23	(5)	792
წლის ზარალი დაბეგვრამდე		(1,538)	(3,956)
მოგების გადასახადის ხარჯი		(17)	(4)
წლის ზარალი		(1,555)	(3,960)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		(1,555)	(3,960)
<i>მათ შორის:</i>			
მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი		(3,058)	(4,960)
არამკონტროლებელი წილი		1,503	1,000
წლის სრული ზარალი		(1,555)	(3,960)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

27 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

9-28 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკაზ ცემენტი“
 კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	ჯგუფის მფლობელობისთვის მიკუთვნებული კაპიტალი			არა- მაკონტროლებელი	
	დაგროვილი ზარალი	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 15)	სულ	წილი	სულ
31 დეკემბერი, 2017	(59,295)	27,402	(31,893)	5,451	(26,442)
წლის სრული ზარალი	(4,960)	-	(4,960)	1,000	(3,960)
ცვლილებები კაპიტალში	-	1,283	1,283	-	1,283
31 დეკემბერი, 2018	(64,255)	28,685	(35,570)	6,451	(29,119)
წლის სრული ზარალი	(3,058)	-	(3,058)	1,503	(1,555)
ცვლილებები კაპიტალში	-	(84)	(84)	-	(84)
დივიდენდი	(1,077)	-	(1,077)	-	(1,077)
31 დეკემბერი, 2019	(68,390)	28,601	(39,789)	7,954	(31,835)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

27 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

9-28 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკაზ ცემენტი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	2018	2018
საოპერაციო საქმიანობა		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	52,651	34,713
თანამშრომლების მიმართ გადახდილი თანხები	(3,326)	(6,225)
მომწოდებლების მიმართ გადახდილი თანხები	(44,711)	(28,109)
გადახდილი ავანსები	(2,007)	(2,896)
გადახდილი სალიზინგო ვალდებულება	(621)	(135)
მიღებული ავანსები	-	18
სხვა საოპერაციო საქმიანობა	503	1
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	2,489	(2,633)
დაბეგვრამდე და პროცენტამდე		
გადახდილი გადასახადი	(3,165)	(2,054)
მიღებული პროცენტი	-	3
გადახდილი პროცენტი	(703)	(470)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,379)	(5,154)
საინვესტიციო საქმიანობა		
გაცემული სესხებიდან მიღებული თანხები	325	97
გაცემული სესხები	-	(30)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	325	67
საფინანსო საქმიანობა		
ნასესხები თანხები	787	5,899
გადახდილი დივიდენდები	(659)	(689)
კაპიტალის ზრდა	1,032	555
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,160	5,765
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	106	678
უცხოური ვალუტის კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(41)	(59)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,199	580
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,264	1,199

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

27 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

9-28 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკაზ ცემენტი“


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	30,892	29,293
არამატერიალური აქტივები		505	600
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	2,129	2,951
სავაჭრო მოთხოვნები	7	720	127
გაცემული სესხები	8	325	413
წინასწარ გადახდილი თანხები	7	601	891
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,264	1,199
სულ აქტივები		36,436	35,474
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	12	209	-
ნასესხები თანხები	10	27,760	25,973
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	10	32,489	30,557
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	5,722	5,470
საიჯარო ვალდებულებები	12	80	618
მიღებული ავანსები		280	132
გადასახდელი დივიდენდი	13	161	649
საგადასახადო ვალდებულებები	14	1,570	1,194
სულ ვალდებულებები		68,271	64,593
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	28,601	28,685
დაგროვილი ზარალი		(68,391)	(64,255)
ჯგუფის მფლობელობისთვის მიკუთვნებული კაპიტალი		(39,790)	(35,570)
არამაკონტროლებელი წილი		7,955	6,451
სულ კაპიტალი		(31,835)	(29,119)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		36,436	35,474

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


27 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო



27 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო


9-28 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკაზ ცემენტი“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	16	47,566	29,279
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(36,996)	(23,046)
საერთო მოგება		10,570	6,233
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(5,783)	(5,312)
დისტრიბუციის ხარჯები	19	(3,265)	(1,404)
სხვა საოპერაციო ხარჯი	20	(1,620)	(125)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	21	1,686	-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		1,588	(608)
საპროცენტო შემოსავალი	8	23	34
საპროცენტო ხარჯი	10	(3,847)	(3,410)
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	22	703	(764)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	23	(5)	792
წლის ზარალი დაბეგრამდე		(1,538)	(3,956)
მოგების გადასახადის ხარჯი		(17)	(4)
წლის ზარალი		(1,555)	(3,960)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		(1,555)	(3,960)
მათ შორის:			
მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი		(3,058)	(4,960)
არამაკონტროლებელი წილი		1,503	1,000
წლის სრული ზარალი		(1,555)	(3,960)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


 27 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო



 27 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო


9-28 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკაზ ცემენტი“
 კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	ჯგუფის მფლობელოვისთვის მიკუთვნებული კაპიტალი			არა- მაკონტროლებელი წილი	სულ
	დაგროვილი ზარალი	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 15)	სულ		
31 დეკემბერი, 2017	(59,295)	27,402	(31,893)	5,451	(26,442)
წლის სრული ზარალი	(4,960)	-	(4,960)	1,000	(3,960)
ცვლილებები კაპიტალში	-	1,283	1,283	-	1,283
31 დეკემბერი, 2018	(64,255)	28,685	(35,570)	6,451	(29,119)
წლის სრული ზარალი	(3,058)	-	(3,058)	1,503	(1,555)
ცვლილებები კაპიტალში	-	(84)	(84)	-	(84)
დივიდენდი	(1,077)	-	(1,077)	-	(1,077)
31 დეკემბერი, 2019	(68,390)	28,601	(39,789)	7,954	(31,835)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


 27 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო


 27 სექტემბერი, 2020
 თბილისი, საქართველო

9-28 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკაზ ცემენტი“


ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ათას ქართულ ლარში)

	2018	2018
საოპერაციო საქმიანობა		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	52,651	34,713
თანამშრომლების მიმართ გადახდილი თანხები	(3,326)	(6,225)
მომწოდებლების მიმართ გადახდილი თანხები	(44,711)	(28,109)
გადახდილი ავანსები	(2,007)	(2,896)
გადახდილი სალიზინგო ვალდებულება	(621)	(135)
მიღებული ავანსები	-	18
სხვა საოპერაციო საქმიანობა	503	1
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	2,489	(2,633)
დაბეგვრამდე და პროცენტამდე		
გადახდილი გადასახადი	(3,165)	(2,054)
მიღებული პროცენტი	-	3
გადახდილი პროცენტი	(703)	(470)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,379)	(5,154)
საინვესტიციო საქმიანობა		
გაცემული სესხებიდან მიღებული თანხები	325	97
გაცემული სესხები	-	(30)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	325	67
საფინანსო საქმიანობა		
ნასესხები თანხები	787	5,899
გადახდილი დივიდენდები	(659)	(689)
კაპიტალის ზრდა	1,032	555
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,160	5,765
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	106	678
უცხოური ვალუტის კურსის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(41)	(59)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,199	580
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,264	1,199

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:



27 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო



27 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

9-28 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

ჯგუფი და მისი საქმიანობა

სს „კავკაზ ცემენტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი: კეკელიძის ქუჩა 13, თბილისი, საქართველო.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელები არიან:

მფლობელები	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
შპს „ანოდაინ ჰოლდინგს ელ.ელ.სი“	87.07%	87.07%
სს „კავკაზ ცემენტი“ (სახაზინო აქციები)	6.66%	6.66%
ხუნწარია ირაკლი	3.34%	3.34%
ტაბატაძე ნიკა	0.49%	0.49%
როდმენკო პოლ	1.56%	1.56%
ტაბატაძე სოფიო	0.49%	0.49%
ბიბილეიშვილი ანდრო	0.39%	0.39%
დენის კარლ პრაის	0.0015%	0.0015%
სულ	100%	100%

კომპანიის დირექტორი არის ანდრო ბიბილეიშვილი. კომპანია ფლობს ინვესტიციებს და მეკავშირე კომპანიებში (ერთობლივად - „ჯგუფი“), რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ინფორმაცია შვილობილი კომპანიების შესახებ

ჯგუფის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს :

შვილობილი კომპანიები		რეგისტრაციის ქვეყნა	% წილი კაპიტალში	31.12.2019	31.12.2018
შპს ჯორჯიან ბილდინგ	საქართველო		60%	60%	
გროუფ					
შპს სურამი ქვიშა	საქართველო		100%	100%	
შპს კავკაზ ცემენტ ჯორჯია	საქართველო		100%	100%	
შპს თბილცემენტი	საქართველო		61.80%	61.80%	
შპს კავკაზ ცემენტ ვესტ	საქართველო		16.74%	16.74%	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემისას, შპს „სურამი სენდს“, შპს „კავკაზ ცემენტ ვესტ“ და შპს „თბილცემენტი“ არ ფუნქციონირებენ, მეკავშირე საწარმოში არსებული ინვესტიცია გაუფასურებულია.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენდეს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდებიან ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვისას გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული ამოცნობადი აქტივები და ვალდებულებები თუ პირობითი ვალდებულებები, დაშვებული ბიზნეს გაერთიანებისას აღირიცხება შესყიდვის დღეს არსებული სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

შიდა ჯგუფური ნაშთები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, საერთო და საოპერაციო მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიო და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური გარემო შექმნილი ვითარების გამო, გამოწვევების წინაშე დადგა. ჯგუფმა მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენების შემდეგ (იხილეთ შენიშვნა 26).

ჯგუფმა ასევე იმსჯელა ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან გარემოებებზე, რომელიც მოცემულია მე-4 შენიშვნაში და შედეგად, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფი იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენ ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა ნაგებობები	20-40 წელი
მანქანა დანადგარები	5 – 10 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 – 10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდის და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გადახედვა.

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად ჯგუფმა უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, ჯგუფმა ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. ჯგუფი განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ჯგუფმა გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

არამატერიალური აქტივები

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია ჯგუფის მიერ და რომელთაც აქვს განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ჯგუფი ფლობს ლიცენზიებს რომელის ამორტიზაციის განაკვეთი განისაზღვრება 5 პროცენტით წელიწადში.

ამორტიზაცია არამატერიალურ აქტივებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე.

თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა სავაჭრო მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც ჯგუფი უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- რომლებზეც ჯგუფმა შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

ჯგუფის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად. ჯგუფის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით ჯგუფის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ჯგუფი მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მოთხოვნები და გაცემული სესხები

2018 წლის 1 იანვრამდე, გაცემული სესხები და მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამოზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. ჯგუფს ნასესხები აქვს თანხები თავისი მფლობელებისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო

ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

ჯგუფის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ქვიშის, ლოორის, ცემენტისა და ბეტონის წარმოება .

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია ჯგუფის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა საშემოსავლოს აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები დაარამტერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

სააქციო კაპიტალი

ინვესტიცია სააქციო კაპიტალში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება სააქციო კაპიტალად საკუთარ კაპიტალში. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, როდესაც ხდება მათი დეკლარირება. დივიდენდები დივიდენდების აღიარება ვალდებულებად მათი გამოცხადების მომენტში.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელსაც გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2. 8677	2. 6766

1 EUR/GEL	3. 2095	3. 0701
-----------	---------	---------

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2. 8192	2. 5345
1 EUR/GEL	3. 1553	2. 9913

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიამ 2019 წლისათვის განიცადა ზარალი 1,555 ათასი ლარის ოდენობით (2018 წლისთვის: 3,960 ათასი ლარი ზარალი), ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის დაგროვილი ზარალი არის 68,391 ათასი ლარი (2018 წლისთვის: 64,255 ათასი ლარი). აგრეთვე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები აღემატებოდა მიმდინარე აქტივებს 35,263 ათასი ლარით (2018 წლის 31 დეკემბერი: 33,039 ათასი ლარით).

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და რომ ჯგუფის საქმიანობა და ფინანსური ლიკვიდურობა დამოკიდებული იქნება მისი მფლობელებისა და დაკავშირებულ მხარეთა მხარდაჭერაზე. ჯგუფს აქვს მიღებული სესხი დაკავშირებული მხარისგან (შენიშვნა 10 და 25), რომლის ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 49,200 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი 47,679 ლარი). ამ სესხის გადახდის გრაფიკი ხელშეკრულებაში გაწერილი არ არის და შესაბამისად დაკავშირებული მხარისგან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე კომპანია 2020 წლის განმავლობაში არ ახდენს ამ ვალდებულებების გადახდას. სწორედ აღნიშნული ვალდებულებაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს, ხოლო ამ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი იწვევს კომპანიის ზარალს. რადგანაც ეს სესხი დაკავშირებული მხარისგანაა, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უახლოეს მომავალში, მინიმუმ ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, როგორც ეს მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული.

სს“კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- ანადგარები	კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	აქტივის გამოყენების ს უფლება	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება											
2017 წლის 31 დეკემბერი	11,172	2,891	7,947	104	5,180	28	345	494	-	53	28,214
შემოსვლა	579	1,172	1,757	18	5,563	2	2,891	-	-	57	12,039
გასვლა	-	(52)	(690)	(20)	(1,188)	-	(1,940)	-	-	(4)	(3,894)
2018 წლის 31 დეკემბერი	11,751	4,011	9,014	102	9,555	30	1,296	494	-	106	36,359
ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი	-	-	-	-	(1,555)	-	-	-	1,555	-	-
შემოსვლა	-	882	3,748	11	758	2	3,447	-	165	78	9,091
გასვლა	-	(26)	(80)	(1)	(282)	-	(4,359)	-	(134)	(6)	(4,888)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	(165)	-	(165)
2019 წლის 31 დეკემბერი	11,751	4,867	12,682	112	8,476	32	384	494	1,421	178	40,397
დაგროვილი ცვეთა											
2017 წლის 31 დეკემბერი	-	460	2,585	59	2,426	11	-	105	-	19	5,665
ცვეთის ხარჯი	-	174	853	14	1,080	4	-	25	-	16	2,166
გასვლა	-	(10)	(337)	(9)	(409)	-	-	-	-	-	(765)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	624	3,101	64	3,097	15	-	130	-	35	7,066
ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი	-	-	-	-	(116)	-	-	-	116	-	-
ცვეთის ხარჯი	-	235	1,074	15	1,094	3	-	-	10	20	2,451
გასვლა	-	-	(234)	-	(66)	-	-	-	-	-	(300)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	364	(76)	-	288
2019 წლის 31 დეკემბერი	-	859	3,941	79	4,009	18	-	494	50	55	9,505
საბალანსო ღირებულება											
2018 წლის 31 დეკემბერი	11,751	3,387	5,913	38	6,458	15	1,296	364	-	71	29,293
2019 წლის 31 დეკემბერი	11,751	4,008	8,741	33	4,467	14	384	-	1,371	123	30,892

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 4,814 ათასი ლარი (31 დეკემბერი, 2018 – 4,208 ათასი ლარი;)

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

ჯგუფს გააჩნია შემდეგი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ოპერირებს საქართველოში:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ნედლეული და მასალები	1,129	1,498
მზა პროდუქცია	965	1,415
საწვავი და საპოხი მასალები	32	25
დაუსრულებელი წარმოება	-	2
სხვა მარაგები	3	11
სულ ნედლეული და მასალები	2,129	2,951

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და წინასწარ გადახდილი თანხები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და წინასწარ გადახდილი თანხები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,242	1,325
სხვა მოთხოვნები	-	2
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(1,522)	(1,200)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	720	127
გადახდილი ავანსები	601	891
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,321	1,018

ცვლილებები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვში:

	2019	2018
1 იანვარი 2019	1,200	833
ცვლილება წლის განმავლობაში	322	367
31 დეკემბერი, 2019	1,522	1,200

8. გაცემული სესხები

ჯგუფის მიერ სესხები გაცემულია იურიდიულ პირსა და დაკავშირებულ ფიზიკურ პირზე. გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 13 - დან 15% - მდე და სესხები გაცემულია ლარში.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ნაღდი ფული სალაროში	71	252
ფული და ფულის ეკვივალენტები ეროვნულ ვალუტაში	1,191	946
ფული და ფულის ეკვივალენტები უცხოურ ვალუტაში	2	0
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,264	1,199

სს“კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

10. ნასესხები სახსრები

ჯგუფის ნასესხები სახსრები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
მოკლევადიანი ნასესხები თანხები		
გადასახდელი პროცენტი დაკავშირებული ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	31,637	29,136
ბანკის სესხი	50	767
დაკავშირებული ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	765	638
გადასახდელი პროცენტი საკრედიტო ხაზზე	37	16
საკრედიტო ხაზი	-	-
სულ მოკლევადიანი ნასესხები თანხები	32,489	30,557
გრძელვადიანი		
დაკავშირებული ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	16,798	17,905
საკრედიტო ხაზი	7,473	5,065
ბანკის სესხი	3,489	3,003
სულ გრძელვადიანი ნასესხები თანხები	27,760	25,973
სულ ნასესხები თანხები	60,249	56,530

ჯგუფის საპროცენტო ხარჯები 2019 და 2018 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	3,149	2,927
საპროცენტო ხარჯი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	529	353
საპროცენტო ხარჯი საკრედიტო ხაზზე	169	130
სულ საპროცენტო ხარჯი	3,847	3,410

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სავაჭრო ვალდებულებები	2,380	3,038
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	3,304	2,410
სხვა ვალდებულებები	38	23
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,722	5,470

12. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საიჯარო ვალდებულებები					
სალიზინგო ვალდებულება	20-22%	31-დეკ-2019	აშშ დოლარი	-	12
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	31-იან-2019	აშშ	-	213

სს“კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

სალიზინგო ვალდებულება	0.04%	20-ივნ-2020	დოლარი აშშ	77	-
სალიზინგო ვალდებულება	16.00%	15-იან-2020	დოლარი აშშ	3	19
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	15-თებ-2023	დოლარი აშშ	-	36
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	15-თებ-2023	დოლარი აშშ	-	138
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	15-თებ-2023	დოლარი აშშ	-	78
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	20-თებ-2023	დოლარი აშშ	-	122
სულ მიმდინარე ვალდებულებები				80	618

გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები

სალიზინგო ვალდებულება	15.50%	15-თებ-2023	აშშ დოლარი	38	-
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	15-თებ-2023	აშშ დოლარი	81	-
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	15-თებ-2023	აშშ დოლარი	43	-
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	20-თებ-2023	აშშ დოლარი	47	-
სალიზინგო ვალდებულება	15.50%	20-თებ-2023	აშშ დოლარი	-	-
სულ გრძელვადიანი სასესო ვალდებულებები და დარიცხული პროცენტები				209	-

13. გადასახდელი დივიდენდები

ჯგუფის გადასახდელი დივიდენდები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
გიორგი ჟორდანიას	161	649
ირაკლი ხუნწარია	-	-
სულ გადასახდელი დივიდენდები	161	649

14. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018
საგადასახადო აქტივი	2,600	97
საგადასახადო ვალდებულება	(4,170)	(1,291)
სულ საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	(1,570)	(1,194)

15. სააქციო კაპიტალი

ჯგუფის გაცხადებული სააქციო კაპიტალის აქციების რაოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 216,644,445 ცალს (არ არის წარმოდგენილი ათასებში), ეს არის ჩვეულებრივი გამოშვებული და სრულად გამოსყიდული აქციები. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება არის 0.15 ლარი (არ არის წარმოდგენილი ათასებში).

2019 წლის განმავლობაში ჯგუფის ზარალმა შეადგინა 1,555 ათასი ლარი და წლის განმავლობაში აქციების საშუალო რაოდენობას წარმოადგენდა 216,644,445 ცალი აქცია (არ არის წარმოდგენილი ათასებში), შესაბამისად საბაზისო და განზავებული ზარალი თითოეულ აქციაზე 2019 წელს შეადგენდა 0.0000071776592 ზარალს ლარს ხოლო 2018 წელს მოგება შეადგენს 0.0000182788 ლარს.

16. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან 2019 და 2018 წლებში გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	37,491	25,154
შემოსავალი ბეტონის სამუსაოების შესრულებისგან	9,896	4,116
სხვა შემოსავლები	179	9
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	47,566	29,279

17. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2019 და 2018 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
ნედლეული და მასალები	30,652	17,731
ცვეთა და ამორტიზაცია	1,685	1,268
თანამშრომელთა სარგებელი	1,500	1,292
კომუნალური ხარჯები	1,470	1,082
საწვავის ხარჯი	693	505
სარემონტო ხარჯები	679	705
ზედნაღები ხარჯი	22	147
სხვა ხარჯები	295	316
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	36,996	23,046

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლებში გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
თანამშრომელთა სარგებელი	3,396	3,852
ცვეთა და ამორტიზაცია	766	898
საწვავის ხარჯი	261	-
პროფესიული მომსახურეობა	240	62
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	137	-
დაცვის ხარჯი	55	51
კომუნიკაციის ხარჯი	36	31
სამეურნეო ხარჯი	32	89
იჯარის ხარჯი	-	33
სხვა	860	296
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5,783	5,312

სს“კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

19. სადისტრიბუციო ხარჯები

სადისტრიბუციო ხარჯები 2019 და 2018 წლებში გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
თანამშრომელთა სარგებელი	1,886	795
გაყიდული საქონლის ტრანსპორტირება	1,379	609
სულ სადისტრიბუციო ხარჯები	3,265	1,404

20. სხვა საოპერაციო ხარჯი

ჯგუფის სხვა საოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი შედგება სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხების, მარაგების რეზერვის და სხვა ხარჯებისაგან.

21. სხვა საოპერაციო შემოსავალი

ჯგუფის სხვა საოპერაციო შემოსავლების ძირითადი ნაწილი შედგება შემოსავალი გრანტიდან და შემოსავალი დაზღვევის ანაზღაურებიდან.

22. მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან

მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან 2019 და 2018 წლებში გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
რეალიზებული ზარალი საკურსო სხვაობიდან	(41)	(59)
არარეალიზებული მოგება საკურსო სხვაობიდან	744	(705)
სულ მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	703	(764)

23. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ჯგუფის სხვა არასაოპერაციო შემოსავლების ძირითადი ნაწილი შედგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისაგან და სხვა წვრილი შემოსავლებისაგან.

24. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

საბაზრო რისკი ძირითადად შედგება სავალუტო და საბაზრო რისკისაგან. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

ჯგუფის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკურსო სხვაობები.

31 დეკემბერი, 2019	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,264	-	1,264
გაცემული სესხები	325	-	325
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	583	137	720
სულ ფინანსური აქტივები	2,172	137	2,309
ფინანსური ვალდებულებები			
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	5,722	-	5,722
სალიზინგო ვალდებულება	-	338	338
ნასესხები თანხები	8,803	51,446	60,249

სს“კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

სულ ფინანსური ვალდებულებები	14,525	51,784	66,309
ღია საბალანსო პოზიცია	(12,353)	(51,647)	(64,000)

31 დეკემბერი, 2018	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,199	-	1,199
გაცემული სესხები	413	-	413
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	127	-	127
სულ ფინანსური აქტივები	1,739	-	1,739
ფინანსური ვალდებულებები			
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	5,470	-	5,470
სალიზინგო ვალდებულება	-	618	618
ნასესხები თანხები	5,719	50,811	56,530
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,189	51,429	62,618
ღია საბალანსო პოზიცია	(9,450)	(51,429)	(60,879)

	დოლარის გავლენა 2019		დოლარის გავლენა 2018	
	30%-იანი ზრდა	30%-იანი კლება	30%-იანი ზრდა	30%-იანი კლება
მოგება / (ზარალი)	15,494	(15,494)	(15,429)	15,429

საპროცენტო რისკები

ჯგუფი არ დგას საპროცენტო რისკების წინაშე, რადგან ჯგუფის სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში აქვს მიღებული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფის პოლიტიკის მიხედვით, ჯგუფი ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება

კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	1193	946
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წმინდა	720	127
	1,913	1,073

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, ჯგუფის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. ჯგუფი ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

სს“კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

31 დეკემბერი, 2019	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	720		720
გაცემული სესხები	-	325	325
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,264		1,264
სულ ფინანსური აქტივები	1,984	325	2,309
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	32,489	27,760	60,249
სხვა ვალდებულებები	5,722		5,722
სალიზინგო ვალდებულება	77	261	338
სულ ფინანსური ვალდებულებები	38,288	28,021	66,309
ლიკვიდურობის გარღვევა	(36,304)	(27,696)	
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	(36,304)	(64,000)	

31 დეკემბერი, 2018	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	127	-	127
გაცემული სესხები	-	413	413
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,199	-	1,199
სულ ფინანსური აქტივები	1,326	413	1,739
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	30,557	25,973	56,530
სხვა ვალდებულებები	5,470	-	5,470
სალიზინგო ვალდებულება	52	566	618
სულ ფინანსური ვალდებულებები	36,079	26,539	62,618
ლიკვიდურობის გარღვევა	(34,753)	(26,126)	-
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	(34,753)	(60,879)	

ლიკვიდურობის რისკის სამართვად ჯგუფი იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები. თუმცა, ჯგუფის ფულადი რესურსები ნაკლებია, ვიდრე მისი საჭიროება ფულად გასავლელზე.

25. დაკავშირებული მხარეები

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შედგება:

	ურთიერთობა	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
გადასახდელი დივიდენდი	არამაკონტროლებადი წილის მფლობელებზე	161	649
ნასესხები სახსრები	დაკავშირებული ფიზიკური პირები	49,200	47,679

2019 და 2018 წლების შესაბამისად დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები შემდეგნაირად გამოიყურება:

	ურთიერთობა	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	დაკავშირებული ფიზიკური პირები	3,149	2,927

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, ჯგუფმა მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენები:

- 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე. წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, ჯგუფი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ჯგუფი თვლის, რომ მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამასთან, ზუსტი წინასწარმეტყველების გაკეთება თუ რამდენად იმოქმედებს კრიზისი მის საქმიანობაზე ჯერ კიდევ ნაადრევია. ასევე გაურკვეველია, თუ რამდენი ხანი დასჭირდება კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა სხვა ისეთი მოვლენები, რაც ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.

სააქციო საზოგადოება „კავკაზცემენტი“

მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2019 წელს გაწეული სამუშაოს შედეგების მიხედვით

შინაარსი

1.საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	3
2. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა	3
3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.	4
4. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.....	5
5. ანგარიში საზოგადოების აქტივების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ	5
6. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა.....	5
7. აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა	6

1. საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

სააქციო საზოგადოება კავკაზცემენტის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც თავად საზოგადოების, ასევე მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს.

სს კავკაზცემენტის მოქმედი შვილობილი საწარმოების შესახებ:

- შპს „ჯორჯია ბილდინგ გროუპ“, ს/ნ 202268132, მისამართი ქ. თბილისი ანდრონიკაშვილის 29. საქმიანობის ძირითადი სფეროა ცემენტის წარმოება;
- შპს „კავკაზცემენტ ჯორჯია“, ს/ნ 404893601, მისამართი ქ. თბილისი ანდრონიკაშვილის 29. საქმიანობის ძირითადი სფეროა ბეტონის და ინერტული მასალების წარმოება;
- შპს „საქართველოს საშენი მასალები“, ს/ნ 200209363, მისამართი ქ. სურამი. საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ყვითელი ქვიშის წარმოება.

თავად სს კავკაზცემენტი, ს/ნ 205253928, მისამართი ქ. თბილისი ანდრონიკაშვილის 29, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს შეადგენს საინვესტიციო საქმიანობა

საწარმოს ძირითად აქტივად ერიცხება წილები ზემოთ აღნიშნულ კომპანიებში.

საზოგადოების სამეთვალყურეო დადებითად აფასებს 2019 წლის შედეგებს. საზოგადოებამ 2019 წელიწადი დაასრულა (1,555) ათასი ლარი ზარალით, რაც გასული წლების მაჩვენებელთან შედარებით უკეთესი შედეგია.

საანგარიშო წელს სამეთვალყურეო საბჭოს მთელი საქმიანობა აქციონერთათვის გამჭვირვალედ რჩებოდა, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ყველა ოქმი ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი აქციონერისათვის, მისი მოთხოვნის შესაბამისად.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო და საზოგადოების მენეჯმენტი უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლიტიკას.

2. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- ჯგუფის შემოსავლების ზრდა;
- ახალი პროდუქტების და საწარმოო ხაზების დანერგვა
- პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა და კონტროლი.
- ახალი ბაზრების ათვისება

რაც შეეხება საინვესტიციო საქმიანობას - საზოგადოება ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე.

2019 წელს საზოგადოების შვილობილმა კომპანიებმა დაასრულეს წინა წლებში დაწყებული საინვესტიციო პროექტები და გადავიდნენ წარმოების ახალ მასშტაბებზე.

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.

საზოგადოების 2019 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის

დახასიათებაწარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით (ლარში) :

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
გრძელვადიანი აქტივები		-
ძირითადი საშუალებები	30,892	29,293
არამატერიალური აქტივები	505	600
მოკლევადიანი აქტივები		-
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,129	2,951
სავაჭრო მოთხოვნები	720	127
გაცემული სესხები	325	413
წინასწარ გადახდილი თანხები და სხვა მიმდინარე აქტივები	601	891
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,264	1,199
სულ აქტივები	36,436	35,474
გრძელვადიანი ვალდებულებები		-
საიჯარო ვალდებულებები	209	-
გრძელვადიანი ნასესხები თანხები	27,760	25,973
მოკლევადიანი ვალდებულებები		-
მოკლევადიანი ნასესხები თანხები	32,489	30,557
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,722	5,470
საიჯარო ვალდებულებები	80	618
მიღებული ავანსები	280	132
გადასახდელი დივიდენდი	161	649
საგადასახადო ვალდებულებები	1,570	1,194
სულ ვალდებულებები	68,271	64,593
კაპიტალი		-
სააქციო კაპიტალი	28,601	28,685
გაუნაწილებელი მოგება	(68,391)	(64,255)
დედა კომპანიის კაპიტალზე მიკუთვნებული კაპიტალი	(39,790)	(35,570)
არამაკონტროლებელი წილი	7,955	6,451
სულ კაპიტალი	(31,835)	(29,119)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	36,436	35,474

	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	47,566	29,279
თვითღირებულების ხარჯი	(36,996)	(23,046)
საერთო მოგება	10,570	6,233
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,366)	(5,312)
დისტრიბუციის ხარჯები	(2,682)	(1,404)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,620)	(125)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,686	-
საოპერაციო მოგება	1,588	(608)
საპროცენტო შემოსავალი	23	34

საპროცენტო ხარჯი	(3,847)	(3,410)
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	703	(764)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(5)	792
სრული შემოსავალი / (ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(1,538)	(3,956)
მოგების გადასახადი	(17)	(4)
წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1,555)	(3,960)

4. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებსაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, შემდეგია:

დარგობრივი რისკები. ცემენტის და ბეტონის ხარისხის მაკონტროლებელი უწყებების და რეგულაციების არარსებობა რაც არათანაბარ პირობებში აყენებს კომპანიას არაკეთილსინდისიერ მწარმოებლებთან მიმართებაში.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. მეზობელი ქვეყნების აგრესიული საექსპორტო პოლიტიკა და ანტიდემპინგური კანონმდებლობის არარსებობა.გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარებაფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტოგანაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებისდაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოებისხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

5. ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისა აქციებისმფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2019 წელში საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად დივიდენდები არ განაწილებულა

6. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს კავკაზცემენტის სააქციო კაპიტალი შეადგენს 32496666 ლარს და დაყოფილია 216644445 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 0.15 ლარი თითოეული.

კომპანიის აქციონერები არიან:

მფლობელები	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
შპს "ანოდინ ჰოლდინგს ელ.ელ.სი"	87.07%	87.07%
სს"კავკაზ ცემენტი" (სახაზინო აქციები)	6.66%	6.66%
სხვა	6.27%	6.27%
სულ	100%	100%

7. აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციონერებთან დაკავშირებით ინფორმაციული პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას.

აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით.

აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდის თაობაზე, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით, მათი უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის

ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

